ფიქრის ფორმა			
სახელწოდება: **ფიქრის ფორმა**	ტიპი: საგანმანათლებლო, შემოქმედებითი	მიმართულება:	დაწყების თარიღი: დასრულების თარიღი:

პროექტის აღწერა

თანამედროვე სამყაროს ტექნოლოგიების ეპოქასაც უწოდებენ, რადგან ხელოვნური ინტელექტი(AI) და რობოტიკა ნელ-ნელა ანაცვლებს იმ გამეორებად სამუშაოებს, რომელსაც ადრე ადამიანები ასრულებდნენ. ამის გამო, ადამიანური უნარები, როგორიცაა კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია გახდება გაცილებით მოთხოვნადი. STEM განათლების განვითარებასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში უნდა ვითარდებოდეს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებიც, რადგან მომავალი პროფესიები საჭიროებს ჰიბრიდულ უნარებს, ე.ი ადამიანი უნდა ფლობდეს, როგორც შემოქმედებით, ისე ტექნოლოგიურ უნარებს. თუკი ჰუმანიტარული, შემოქმედებითი უნარები არ განვითარდება, შედეგად მივიღებთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების დაქვეითებას, ემოციური ინტელექტის ნაკლებობას, რაც სამომავლოდ გაზრდის სტრესის, დეპრესიის და გაუცხოების რისკს. სოციალური ურთიერთობები დასუსტდება, შემოქმედებითობის ნაკლებობა კი ადამიანს დააკარგვინებს ღირებულებებს, სიღრმეს და აზრს.

იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ეს რისკები, აუცილებელია სასკოლო სივრცეში შემოქმედებითი უნარების გაძლიერება. საჭიროა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ტექნიკური და შემოქმედებითი უნარები თანაბრად ფასობს. სადაც მოსწავლეს აძლევენ ფიქრის, ქმედების, განსხვავებული ხედვის შესაძლებლობას, რომელიც ჩამოაყალიბებს ემოციურად მტკიცე, ღირებულებების მქონე, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ადამიანს, რომელიც მომავლის გამოწვევებისთვის იქნება მზად.

მიზანი	**ამოცანა**	**მოსალოდნელი შედეგი**	**რისკები**
მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული და ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა, რადგან განათლებამ უზნრუნველყოს მოსწავლის ჰიბრიდული მომავლისთვის მომზადება	№1 ტექნოლოგიების ეპოქაში შემოქმედებითობის უნარებზე ცნობიერების ამაღლება.	მოსწავლეებმა გაიაზრეს შემოქმედებითობის მნიშვნელობა პრაქტიკულ ცხოვრებაში. მიღებული ინფორმაცია დაეხმარათ მოტივაციის ამაღლებაში, რადგან საკუთარი იდეები გამოხატეს და მოისურვეს უნიკალური ხედვის გაღრმავება.	1 ქულა საშუალო რისკ ფაქტორი - ინფორმაციის მიწოდებისას ფრონტალური/სალექციო მეთოდების სიხშირე, ნაცვლად ინტერაქტიური, დიკსუსიაზე დაფუძნებული აქტივობებისა.
	№2 შემოქმედებითი და კრიტიკული აქტივობების დაგეგვმა და განხორციელება.	მოსწავლეებმა განივითარეს შემოქმედებითი და ფუქნციური უნარები. მოსწავლეებს მიეცათ თვითგამოხატვის შესაძლებლობა - ტექსტით, ვიზუალური სახით, ჯგუფური მუშაობით, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეების ინდივიდუალურ ხედვას, ინიციატივას და იდეების თავისუფალ გაზიარებას.	3 ქულა მაღალი რისკ ფაქტორი- მოსწავლეთა მცირე ნაწილის ჩართულობა, გამოწვეული დროის უქონლობით ან/და შინაგანი მოტივაციის ნაკლებობით.

განხორციელების გზები

აქტივობა	**ინდიკატორი**	**სამიზნე აუდიტორია**	**განხორციელების პერიოდი**	**პასუხისმგებელი პირი/სტ.ერთეული**	**საჭირო რესურსი**	**შესრულების სტატუსი**
2.1. სკოლა თაობის ჟურნალი	მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 10 ადამიანმა მაინც. ჟურნალი გამოიცა	საბაზო და საშალო საფეხური.	სექტემბერი-დეკემბერი			

	სემესტრული. თემატური სექციების რაოდენობა შედგებოდა 9 სხვადასხვა ტიპის შინაარსისგან. ჟურნალის მკითხველთა რაოდენობაამ გადააჭარბა 100 ადამიანს. მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი იყო მაღალი, მათ განივითარეს ფუნქციური უნარები. საჯარო გამოხმაურება იყო დადებითი.					
2.2. „პატარა ხელები, დიდი გული“	ჩართულია სულ მცირე 15 ბავშვი. ბავშვებმა განივითარეს შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარები. განსაზღვრულმა მიზანმა გაზარდა მოტივაცია და გააძლიერა ღირებულებებზე დაფუძნებული ქმედება.	სასკოლო საზოგადოება.	სექტემბერი-დეკემბერი			
2.3 კომიქსი **„არა-სიღარიბეს“**	ჩართული უყო სულ ცოტა 5 ადამიანი მაინც. მოსწავლეება განივითარეს შემოქმედებითი და ფუნქციური უნარები.	სასკოლო საზოგადოება.	ოქტომბერი			

2.4 კომიქსი **„სიბრძნე-სიცრუისა“**	ჩართული იყო სულ ცოტა 10 ადამიანი მაინც. კომიქსი გაკეთდა სულ ცოტა 10 იგავზე მაინც. მოსწავლეებმა განივითარეს შემოქმედებითი და კრიტიკული უნარები.	სასკოლო საზოგადოება.	სექტემბერი-მაისი			
2.5. სამაგიდო თამაში	მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 10 ადამიანმა მაინც. შექიმნა ორი განსხვავებული თამაში. თამაში შედგენილია ლოგიკურად და თანმიმდევრულად, დიზანი და ვიზუალური ელემენტების ხარისხი არის მაღალი. მოსწავლეებმა მუშაობის პროცესში განივითარეს კვლევითი, შემოქმედებითი და თანამშროლობითი უნარები.	სასკოლო საზოგადოება	სექტემბერი-მაისი			
2.6. (თოჯინების) თეატრი.	მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 10 ადამიანმა მაინც. დაწერილი ან გამოყენებული იქნა ორი განსხვავებული სცენარი. დეკორაციები და ვიზუალური მხარე	დაწყებითების და საბაზო საფეხური.	სექტემბერი-აპრილი			

	იყო დახვეწილი, ხოლო შესრულებამ მაყურებლების მხრიდან დაიმსაურა დადებითი შეფასება.					
2.7. დისკუსია **„მადამ ბოვარი“** და **„ჯაყოს ხიზნები“**	მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 10 ადამიანმა მაინც. დისკუსისას დაისვა საინტერესო, პროვოკაციული საკითხები, რომელმაც მოსწავლეების ჩართულობა და ინტერესი გააღრმავა დასახელებული წიგნების მიმართ.	საბაზო და საშუალო საფეხური.	ოქტომბერი			
1.1. ლექცია - **„რა არის AI და როგორ ცვლის ის ჩვენს მომავალს?“**	ლექციას დაესწრო სულ ცოტა 25 ადამიანი მაინც. ლექცია გაგრძელდა არაუმეტეს 1 საათი. მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი იყო მაღალი, ლექცია გასაგებ, მარტივ და საინტერესო ენაზე იყო გადმოცემული.	საბაზო და საშუალო საფეხური.	ოქტომბერი			
2.8. **Halloween** გარემოს მორთვა	სასკოლო გარემო სრულიად შეესაბამებოდა თემატურ კონტექტს. მოსწავლეებმა გამოხატეს მონაწილეობის სურვილი და აქტიურად ჩაერთვნენ	სასკოლო საზოგადოება.	ოქტომბერი			

	სამუშაო პროცესი. განივითარეს ფუქნციური და სოციალური უნარები.					
2.9. **„ფანტაზია ჩრდილებში“** Halloween კოსტიუმირებული წვეულება.	მოსწავლეებმა გამოიყენეს თავიანთი შემოქმედებითი უნარები და გამოეწყეს თავიანთ კოსტიუმებში. კოსტიუმებს შორის შეირჩა, ხმის მიცემის ხერხით, გამოვლინდა გამარჯვებული.	სასკოლო საზოგადება.	ოქტომბერი			
2.10. სკოლა თაობის **„ტკბილეულის სამფლობელო“**	მოსწავლეებმა გამოთქვეს მონაწილეობის სურვილი. გაკეთდა სულ ცოტა ტკბილეულის 20 შეკვრა მაინც. მოსწავლეებმა დაურიგეს საზოგადოების 20 წევრს მაინც.	საბაზო და საშუალო საფეხური.	ოქტომბერი-ნოემბერი			
2.11. დისკუსია **„451 ფარენჰაიტით“**	დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 15 ადამიანმა მაინც,	საბაზო და საშუალო საფეხური.	ნოემბერი			
2.12. დებატები - **„რატომ უნდა წავშალოთ „Tiktok-ი?**	მოსწავლეების ჩართულობა დებატებში მზარდია. მოსწავლეების მსჯელობა იყო არგუმენტირებული. მათ განივითარეს ფუქციური უნარები. დებატებისას	საბაზო და საშუალო საფეხური.	ნოემბერი			

	მოსწავლეებმა დაიცვეს წესები და პატივი სცეს ერთმანეთის აზრს.					

პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

პროექტის განხორციელების მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას პროექტით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას, ესე იგი შესრულებული საქმიანობის ხარისხის კონტროლს. შეფასება ადგენს ის აქტივობები რომლებიც შესრულდა, რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა დადგენილ კრიტერიუმებს. ასევე შეფასების შედეგად გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები. ამ ინფორმაციის ანალიზი გვეხმარება ახალი პროექტის დაგეგმვა/განხორციელების პროცესი უკეთესად წარმართოს.

პროექტის მონიტორინგის და შეფასების პროცესის აღწერა:

პროექტის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ პროექტის ფაილს და საქაღალდეს, სადაც გროვდება მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს პროექტის ავტორებს, დირექტორს, ხარისხის ჯგუფის ყველა წევრს, PR მენეჯერს და პროექტის შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

პროექტის ავტორების გადაწყვეტილებით, გაზიარებულ ფაილზე წვდომა შეიძლება მიეცეს სხვა პირ(ებ)საც. დრაივზე განთავსებული პროექტის ფაილზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის PR მენეჯერი. რომელიც ადმინისტრირებას უწევს დრაივზე ინფორმაციის დროულ ასახვას.

პროექტის აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები ან/და სკოლის PR მენეჯერი;

- შეიყვანენ გაზიარებულ ფაილში ინფორმაციას აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ. (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, ვერ შესრულდა, შეჩერდა);
- გაზაირებულ საქაღალდეში ტვირთავენ აქტივობის შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

პროექტის ავტორ(ებ)ი შედიან და ამოწმებენ დრაივზე განთავსებულ ინფორმაციას/მტკიცებულებებს, ასევე აკვირდებიან პროექტის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც ხდება აქტივობების განმხორციელებელებზე ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის ავტორი/პროექტზე მომუშავე ჯგუფი აფასებს პროექტს, ესე იგი აანალიზებს პროექტის განხორციელების პროცესს და პროექტის შედეგებს და წერს პროექტის ანგარიშს. ანგარიში საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე ან/და სოციალური მედიაში ან/და საჯარო ღონისძიებებზე(სკოლის გაერთიანებული შეხვედრა) მოხდება მისი წარდგენა.

პროექტის შესრულების ანგარიში

განხორციელდა პროექტის მონიტორინგი, შეგროვდა მონაცემები პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. მონაცემების შეგროვების შემდეგ განხორციელდა პროექტის შეფასება, რაც გულისხმობს შეგროვებული ინფორმაციის შინაარსობრივ ანალიზს. ესე იგი გაანალიზდა/პასუხი გაეცა კითხვებს:

- რამდენად იქნა მიზანი და ამოცანები მიღწეული?
- რამდენად ზუსტად პასუხობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს შედეგები?
- რამდენად ეფექტიანი იყო განხორციელების პროცესი (განხორციელებული აქტივობები რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს)?
- რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანების მიუღწევლობა/აქტივობების ვერ განხორციელება (არსებობის შემთხვევაში)?
- გაგრძელდება თუ არა ის სარგებელი, რომელიც მიზნის განხორცილებას მოჰყვა?
- რამდენად შეიძლება დაფიქსირებული გავლენა გრძელვადიანი იყოს, რა შეიძლება გაკეთდეს მიღწეული შედეგების მდგრადობისთვის?

ამ პროცესების გავლის შედეგად შეიქმნა პროექტის შესრულების ანგარიში.

აქედან დაიწყება პროექტის შესრულების ანგარიშის აღწერა.....